



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 17 ნოემბერი, 2017 წელი

დრო: 16:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
2. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
3. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
4. ირაკლი ჯავახიშვილი - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
8. ნინო შარაშიძე - „პი ემ სი“ კვლევითი ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და არსებული პრობლემები, DCFTA-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ნინო ელიზბარაშვილი-ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“;
- "საქართველოში ფერმერული კოოპერატივების განვითარებისა და ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის". ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს წარმომადგენელი;
- ევროპის ახალი ეკონომიური სტრუქტურების დანერგვა საქართველოს რეალობაში (კლასტერები) - მცირე და საშუალო ბიზნესის და კლასტერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. კობა კიკაბიძე – სტრატეგიული ინიციატივების სააგენტო;

- ინფორმაცია საქართველოს მთავრობისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ერთობლივი კონფერენციის შესახებ. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“;
- ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი მე -9 ყოველწლიური ასამბლეა და სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციაზე 25- 27 ოქტომბერი, 2017 წლის ესტონეთი, ტალინი, მე-2 სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განხილული საკითხები და ახალი სტრატეგიული დოკუმენტები. ნინო ელიზბარაშვილი, „ასოციაცია ქალი და ბიზნესი“;
- მეწარმეების ფინანსური ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის შეფასება და შესაბამისი ქვეჯგუფის შექმნა;
- და სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა სტრატეგიული ინიციატივების სააგენტოს წარმომადგენლის, ბატონი კობა კიკაბიძის პრეზენტაცია „კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური მდგრადობა და კლასტერული სტრატეგიული დაგეგმვის ინოვაციური ინსტრუმენტი“¹

პრეზენტაციაში ყურადღება გამახვილდა კლასტერის მნიშვნელობაზე, წარმატებული ეკონომიკის განმსაზღვრელ ფაქტორებზე, კონკურენტუნარიანობასა და მცირე და საშუალო ბიზნესისა და კლასტერების განვითარების პერსპექტივებზე საქართველოში. დაისვა უამრავი შეკითხვა და მომხსენებელმა უპასუხა ჯგუფის წევრების შეკითხვებს.

შემდეგ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს წარმომადგენლის ბატონი ირაკლი ჯავახიშვილის პრეზენტაცია "საქართველოში ფერმერული კოოპერატივების განვითარებისა და ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის“. პრეზენტატორმა ისაუბრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის მიზნებსა და მიდგომებზე; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის პროცესში არსებულ ბარიერებზე; უკვე შექმნილი კოოპერატივების განვითარების გზაზე არსებულ გამოწვევებსა და ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე.²

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა, ბატონმა ვახტანგ ზარქუამ სოფლის მეურნეობის საკითხზე საუბრისას ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის დახმარებით შექმნილი „ადგილობრივი განვითარების ჯგუფების“ (LAGs) საქმიანობაზე. პროგრამის ხარვეზებსა და გამოწვევებზე. მათ შორის, წინასწარი კვლევებისა და თბილისში მოქმედ კვლევით-ანალიტიკურ ორგანიზაციებთან LAG-ების თანამშრომლობის საჭიროებაზე.

¹ ოქმს თან ერთვის პრეზენტაცია

² ოქმს თან ერთვის პრეზენტაცია

შემდეგ საკითხად ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა ისაუბრა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ქვეყანაში არსებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე. შეხვედრაზე მან ასევე წარადგინა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის რეგრანტიგის ფარგლებში ორგანიზაციის „ქალი და ბიზნესის“ მიერ, პარტნიორობთან ერთად შემუშავებული კვლევითი დოკუმენტი. დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში არსებული რეალობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი გამახვილებულია მათ DCFTA-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ლატვიის კარგ პრაქტიკაზე დაყრდნობით ასევე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის მთავრობებს.

ქალბატონმა ნინომ ისაუბრა კვლევის შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებზე, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობაზე. მან ასევე მოუწოდა პლატფორმის წევრებს აქტიურობისკენ და ჯგუფს შესთავაზა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მთავრობის მიერ DCFTA -ის შესრულებას.

ჯგუფი დაინტერესდა როდის აცხადებს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამდივნო შემდეგ რეგრანტიგს. როგორც ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა აღნიშნა, მისი ინფორმაციით შემდეგი რეგრანტიგის პროგრამის გამოცხადება იგეგმება ა.წ დეკემბერში. მან ასევე სთხოვა, საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს, როგორც კი ეს ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი გაავრცელოს პლატფორმის მთლიან ჯგუფში.

შემდეგ ეტაპზე, კოორდინატორმა ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე -9 ყოველწლიური ასამბლეისა და სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციის შესახებ, რომელიც ჩატარდა 25-27 ოქტომბერს, ტალინში. კერძოდ, მე-2 სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე შემუშავდა ჯგუფის ახალი სამოქმედო გეგმა, ასევე მთლიანად ფორუმის სტრატეგიული დოკუმენტი 2018-2020 წლებისთვის და შიდა სტრუქტურული რეფორმის დოკუმენტი.

გარდა ამისა, ფორუმზე ბატონი დავით ცისკარიძე, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი, არჩეული იქნა ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის ქვეჯგუფის კოორდინატორად. ქალბატონი ალექსანდრა კალატოზიშვილი, ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი", მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორად, ხოლო ბატონი ლაშა ტულუმი, ლიბერალური აკადემია თბილისი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის ეროვნულ კოორდინატორად.

შეხვედრის ბოლოს, ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ეკა გეგეშიძემ გააჟღერა ინფორმაცია, რომ ლაგოდებში, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე, გაიხსნა ტრენინგ ცენტრი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეხვედრებისთვის სრულიად უფასოდ სთავაზობს დარბაზს, ხოლო ტრენინგებისთვის - მიზერულ ფასად.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.